კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქ. თბილისი, რობაქიძის ქ. №7ბ-ს მიმდებარედ, ს/კ 01.13.04.004.032, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული პროექტი (საცხოვრებელი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საოფისე)

საგანი:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება კორექტირებული პროექტით მშენებლობის წარმოების პროცესში

ზემოაღნიშნულ საპროექტო შენობის ნაკვეთს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ემიჯნებიან სამანქანო გზები.

სამხრეთ-დასავლეთიდან ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.13.04.004.006 განლაგებულია 9 სართულიანი მრავალბინიანი სახლი. სახლს აქვს სარდაფი, აშენებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციებით. მისი დაცილება საპროექტო შენობიდან – 6.0 მეტრი.

დასავლეთიდან ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.13.04.004.016 დაწყებულია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ-კავშირებიანი 16 სართულიანი შენობის მშენებლობა. დაცილება საპროექტო 13 სართულიანი შენობიდან – 8.0 მეტრი, ხოლო 6 სართულიანი შენობიდან – 6.0 მეტრი.

საპროექტო გადაწყვეტით 13 სართულიან საპროექტო შენობას გააჩნია ერთი მიწისქვეშა სართული, რომლის იატაკის აბსოლუტური ნიშნული უტოლდება არსებულ 9 სართულიანი სახლის სარდაფის ნიშნულს. ხოლო 6 სართულიან საპროექტო შენობას მიწისქვეშა დონე არ გააჩნია. ამავე დროს 13 სართულიანი შენობის დაფუძნება საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემებით ხდება ხრეშოვან გრუნტებზე, რომლებიც პრაქტიკულად არაჯდენადია.

პროექტის კორექტირება კონსტრუქციულად შეეხო ორი სვეტის განიკვეთის გაბარიტულ ცვლილებას და არ გააჩნია კავშირი განსახილველ კონსტრუქციულ დასკვნასთან,

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მიმართ სრულად დაცულია სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები ბნ 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კეთდება დასკვნა:

საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა კორექტირებული პროექტის გათვალისწინებით არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე და მათი კონსტრუქციების მდგრადობა-მზიდინარიანობაზე

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტმდ,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია

თბილისი 09-09-2020